

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სააქციო საზოგადოება „თამ“ თბილავიამშენში
კონვილენციური (კომერციული) ინფორმაციის
შემცველი დოკუმენტაციის საქმის წარმოების შესახებ.

„სააქციო საზოგადოება „თამ“ თბილავიამშენის დებულება კონფიდენციალური (კომერციული) საიდუმლოების დაცვის საქმის წარმოების შესახებ“ შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე, საწარმო აუცილებლობიდან გამომდინარე.

"დებულება" ავალდებულებს სააქციო საზოგადოება „თამ“ თბილავიამშენში კონფიდენციალურ (კომერციულ) საიდუმლოებასთან შეხების მქონე ყველა მუშაკს კომერციული ფასეულობის დოკუმენტების აღრიცხვის, გამრავლების, შენახვის, მოხმარებისა და განადგურების დებულებით დადგენილი წესების დაცვას.

ზოგადი დებულება

კონფიდენციალურ (კომერციულ) ინფორმაციად მოისაზრება ინფორმაცია სააქციო საზოგადოება „თამ“ თბილავიამშენის კომერციული საქმიანობისა და ფასეულების, პროცესების, საშუალებების თაობაზე, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია რომელიც გამოიყენება საზოგადოების პროდუქციის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად აგრეთვე რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, „ნოუ-ჰაუს“, ისევე როგორც სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს საზოგადოების ინტერესებსა და კონკურენტუნარიანობას.

კონფიდენციალური (კომერციული) საიდუმლოება არ შეიძლება გამოყენებული იქნას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით.

კონფიდენციალური (კომერციული) საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია შეიძლება მატერიალიზებული იყოს დოკუმენტებში, ნახაზებში, მოდელებში, დისკეტებში, სამრეწველო ნიმუშებში და სხვა.

საზოგადოებაში კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტებისა და საქმეების აღრიცხვის, გამრავლების, შენახვის, მოხმარების კონტროლს ახორციელებს დახურული ინფორმაციის განყოფილება და ადმინისტრაციული და საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია).

მნიშვნელობას კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტს ანიჭებს შემსრულებელი და ამ დოკუმენტის ხელმომწერი პირი, საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კონფიდენციალურ (კომერციულ) საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის საფუძველზე.

საზოგადოების გენერალურ დირექტორს უფლება აქვს არ ჩათვალოს კონფიდენციალური (კომერციული) ხარისხით დოკუმენტი, თუ მას ეს ხარისხი მინიჭებული აქვს კონფიდენციალურ (კომერციულ) საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის დარღვევით.

სააქციო საზოგადოება „თამ“ თბილავიამშენის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელები, შესაბამისი თანამდებობის პირები, პასუხისმგებლები არიან კონფიდენციალური (კომერციული) საქმეებისა და დოკუმენტების სწორი აღრიცხვიანობის, შენახვის, გამრავლებისა და მოხმარების დაცვაზე.

საზოგადოებაში კონფიდენციალურ (კომერციულ) დოკუმენტებსა და საქმეებში არსებული მონაცემებისა და შინაარსის გაუვრცელებლობაზე კონტროლს აწარმოებს დახურული ინფორმაციის გაანყოფილება.

შემსრულებლებს, რომლებიც დაშვებული არიან კონფიდენციალურ (კომერციულ) დოკუმენტებთან, საქმეებთან და გამოცემებთან, ეკრძალებათ წერილობით ან ზეპირად გადასცენ სხვა პიროვნებას ამ დოკუმენტებისა და გამოცემების შინაარსი, თუ ამას არ მოითხოვს სამსახურებრივი აუცილებლობა.

უცხო პირების მხრიდან კონფიდენციალური (კომერციული) ინფორმაციის მოპოვების ნებისმიერი მცდელობის შესახებ, რაც დოკუმენტებთან და საქმეებთან მომუშავესთვის გახდება ცობილი, შემსრულებელი ვალდებულია შეატყობინოს თავისი ქვედანაყოფის ხელმძღვანელს და საავიაციო უშიშროების სამსახურის უფროსს.

სააქციო საზოგადოება „თამ“ თბილავიამში კონფიდენციალურ (კომერციულ) საიდუმლოებას მიეკუთვნება გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი ინფორმაცია.

კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტებთან და საქმეებთან მუშაობის წესი.

კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტები და საქმეები ინახება საზოგადოების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით დანიშნულ კონფიდენციალურ (კომერციულ) საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან.

კონფიდენციალური (კომერციული) მასალების ბეჭდვა ან შევსება ხორციელდება საზოგადოების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ნებართვით და პირადი პასუხისმგებლობით.

კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტების გამრავლება დაუშვებელია საზოგადოების გენერალური დირექტორის ან მისი მოადგილის წერილობითი ან სიტყვიერი ნებართვის გარეშე.

გამრავლებული დოკუმენტების აღრიცხვიანობა ხდება სააღრიცხვო ჟურნალში.

საზოგადოებაში შემოსული ყველა კონფიდენციალური (კომერციული) კორესპონდენცია იხსნება და მუშავდება არასაიდუმლო დოკუმენტების პარალელურად და რეგისტრირდება არასაიდუმლო და კონფიდენციალურ (კომერციულ) დოკუმენტებთან ბრძანებით დაშვებული პირის მიერ.

რეგისტრაციას ექვემდებარება ყველა შემოსული და გასული კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტები.

კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტების გადაცემა ხდება ჟურნალში ან სააღრიცხვო ბარათში ხელის მოწერით.

კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტები, საქმეები და გამოცემები უნდა ინახებოდეს სამსახურებრივ ოთახებში განთავსებულ ჩაკეტილ კარაღებში.

სამუშაოდ გაცემული კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტები და საქმეები ექვემდებარება შენახვის ადგილზე დაბრუნებას იმავე დღეს.

ცალკეულ შემთხვევებში კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტები და საქმეები შემსრულებელთან შეიძლება დატოვებული იქნას სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ნებართვით იმ ვადით, რა ვადაც საჭიროა ამ სამუშაოს შესასრულებლად. იმ პირობით, რომ შესრულებული იქნება კონფიდენციალური დოკუმენტების ან საქმეების შენახვის ყველა პირობები.

აკრძალულია კონფიდენციალური (კომერციული) საქმეებისა და დოკუმენტების საზოგადოების ტერიტორიის გარეთ გატანა. აუცილებლობის შემთხვევაში კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტის გატანა საზოგადოების ტერიტორიის გარეთ შესაძლებელია გენერალური დირექტორის ან მისი მოადგილის წერილობითი ან სიტყვიერი ნებართვით.

კონფიდენციალურ (კომერციულ) დოკუმენტებზე, საქმეებზე და გამოცემებზე პასუხისმგებელი პირის შეცვლის შემთხვევაში დგება მიღება-გადაცემის აქტი, რომელსაც ამტკიცებს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი.

კონფიდენციალური დოკუმენტების, საქმეების და გამოცემების რაოდენობრივი შემოწმება ხდება წელიწადში ერთხელ კომისიის მიერ, რომელსაც ბრძანებით ნიშნავს საზოგადოების გენერალური დირექტორი.

კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტებისა და საქმეების დაკარგვის, მათი შინაარსის უცხო პირისათვის გაცნობის შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა ეცნობოს საზოგადოების გენერალურ დირექტორს და საავიაციო უშიშროების სამსახურის უფროსს.

შემსრულებელს კონფიდენციალური (კომერციული) ინფორმაციის დაცვის წესებისა და ინსტრუქციების არაჯეროვნად შესრულების გამო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტების შერჩევა შესანახად და გასანადგურებლად.

კონფიდენციალურ (კომერციულ) დოკუმენტებზე და საქმეებზე ღირებულების ექსპერტიზის განხორციელებისათვის საზოგადოების გენერალური დირექტორის ბრძანებით ინიშნება საექსპერტო კომისია.

კომისიის მიერ შერჩეული კონფიდენციალური (კომერციული) დოკუმენტები და საქმეები, რომლებმაც დაკარგეს საზოგადოების საქმიანობისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა, ნადგურდება აქტის საფუძველზე.